

ახალი თაობა



შაბათი – კვირა, 5 – 6 მარტი, 2016

ლონდონური ღირბი და გერმანული ბუნდესლიგის



83.9

სტატისტიკა, ფსონები

05.03	ტოტენჰემი-არსენალი	2.37	3.3	3.0
05.03	უოტფორდი-ლესტერი	2.8	3.3	2.5
05.03	რეალი-სელტა	1.3	6.0	8.0
05.03	ვოლფსბურგი-გლადბახი	2.1	3.6	3.25
05.03	დორტმუნი-ბაიერნი	3.1	3.4	2.25
05.03	პსჟ-მონპელიე	1.44	4.33	7.5
05.03	ანჟე-სტეტიენი	3.0	2.9	2.6
06.03	ერ.პალასი-ლივერპული	3.6	3.4	2.05
06.03	ვალენსია-ატლეტიკო	4.0	3.1	2.05
06.03	ეიბარი-ბარსელონა	11.0	6.0	1.25
06.03	სასუოლო-მილანი	3.2	3.3	2.25
06.03	ტორინო-ლაციო	2.3	3.2	3.2

№54 (6980)

ფასი: 50 თეთრი

„ნანუაშვილი მერაბიშვილის და ახალაიას ციხიდან გამოყვანას ცდილობს“



83.4

ნიკოლოზ მჭავანაძე: „ომბუდსმენი და ასო-ები სპეცსამსახურების ჩადებული ნაღებია“

„ყველამ ძალიან უჩხუბო ვიცი, რომ დღეს საკონსტიტუციო სასამართლო ახის ნაციონალების უნდობის ქვეშ. საქმეებს, რომელთა განხილვასაც 1 წელი სჭირდება, ისინი ძალიან მოკლე ვადებში განიხილვენ. ამის ნათელი მაგალითი იქნა 2-ის საქმეა. იგივე შეგვიძლია ვთქვათ გიგი უკუდავას საქმეზეც“.



გიორგი ვაშაძე: „სანდრა რულოვსკი არცთუ ურიგო კანდიდატია“

83.5

„სამარცხვინოა, რომ საქართველოს ასეთი იუსტიციის მინისტრი ჰყავს“




გია სუხაშვილი: „რესპუბლიკელები სახის შენარჩუნებას ცდილობენ“

„რესპუბლიკელები და მრენველები იმ ცოლ-ქმარივით არიან, ერთმანეთს რომ ვერ იტანენ და ოჯახს მაინც ინარჩუნებენ“

თორნიკე შარაშენიძე: „რესპუბლიკელებს ივანიშვილი სჭირდებათ“

83.3



83.2

ირაკლი ოქრუაშვილია გორზე კონტროლი დაამყარა



ISSN 1987-9385
9 771987 938006



ზაბტრა მამრაკა: „ხიდაველი თანამდებობას პარტიის პიარისტვის აპირებს“





შორენა მარსაგიშვილი

გია ხუხაშვილი: „რესპუბლიკალები სახის შენარჩუნებას ცდილობენ“

„რესპუბლიკელები და მრენველები იმ ცოლ-ქმარით არიან, ერთმანეთს რომ ვერ იტანენ და ოჯახს მაინც ინარჩუნებენ“

მოუგეს თუ ახა ომი ხესხებიცაა... მხეველებს, ხატომ ახის ომივე ჰახტია ქმყოფილი, ვინ იტყვის გადამწყვეტ სიტყვას, ხატომ ახის დამლა აუცილებელი? - ამის შესახებ „ახალ თაობას“ ექსპეტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

— **პრემიერთან გამართული შეხვედრის შემდეგ რესპუბლიკელები ძალიან თავდაჯერებულნი გამოიყურებოდნენ. აცხადებენ, რომ ზოგიერთებს კიდევ მოუწევთ მათი ატანა. თქვენი აზრით, რა ხდება?**

— არის ასეთი გამოთქმა — ცუდი თამაშის პირობებში სახის შენარჩუნების მცდელობა. რესპუბლიკელების თავდაჯერებულობა სახის შენარჩუნების მცდელობა და მტვი არაფერი. მათ ძალიან კარგად იციან, რომ 3 მარტს პრემიერთან გამართული შეხვედრა ფორმალური ხასიათის იყო.

— **რატომ გგონიათ, რომ ეს შეხვედრა ფორმალური ხასიათის იყო?**

— მათ ყველაზე კარგად იციან, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას პრემიერი არ მიიღებს. გადაწყვეტილებას სხვა მიიღებს. ის სხვა ბიძინა ივანიშვილია.

— **თუ იცოდნენ, რომ პრემიერი არაფერს გადამწყვეტდა, რატომ მოითხოვეს მასთან შეხვედრა?**

— ისინი ნამგებინა პოლიტიკურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ და შეეცადნენ, სახე როგორმე შეენარჩუნებინათ. დავით უსუფაშვილმა ჯერ კიდევ შეხვედრის დასასრულში იცოდა, შეხვედრიდან რომ გამოვიდოდა, გაუგებარი რაღაცა უნდა ეთქვა შევარდნაძის სტილში, ის ასევე მოიქცა. ახლა მთელი საქართველო ჭკვიანი სახეებით ვსჯელობთ, თუ რას ნიშნავს უსუფაშვილის განცხადება.

უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ისინი პარტია „ქართულ ოცნებასთან“ სტრატეგიულ რეჟიმში თანამშრომლებენ. ეს არაფერს არ ნიშნავს და ამაზე პრემიერის მიერ გაკეთებული განმარტებაც კარგად მეტყველებს. გიორგი კვიციანიშვილმა თქვა, ორ პარტიას შორის ვერანაირი შეთანხმება ვერ შედგება, თუ ის კოალიციის მხრიდან დადასტურებული არ იქნება. ამით პრემიერმა რესპუბლიკელების გაუგებარი განცხადებების ირიბი დენონსაცია მოახდინა.


— **მათი თავდაჯერებულობა არც პრემიერის ამ განცხადების შემდეგ გამჭრალა.**

— ეს გარეგნულად ასხივებენ კმაყოფილებას, თორემ გულში ტირიან. ისინი ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან.

— **ცუდ მდგომარეობაში რატომ არიან?**

— მათ ძალიან დიდი ამბიციები აქვთ, რაც ხალხის მიერ მათთვის მინიჭებულ ლეგიტიმაციას არ შეეფერება. რესპუბლიკელებს ავინწყდებათ, რომ ძალაუფლებაზე მანდატს მხოლოდ ხალხი იძლევა. ისინი ამ მანდატის მიღებას უკანა კარიდან აპირებენ, რაც ძალიან მძიმე შეთხვეტილებას ტოვებს. ამ პარტიის მადა ძალიან გაიზარდა და იმაზე მეტის გადაყალბავს აპირებენ, რაც ცუდად და მათავრდება.

ამ მადამ იმდენად შორს წაიყვანა, რომ ძალიან ბანალური შიდა კოალიციური დაპირისპირება ნაციონალურ მასშტაბზე აიყვანეს და გეოპო-



ბარი განცხადებების ირიბი დენონსაცია მოახდინა.

„ხანდახან ხდება სასწაულები — მე და მეჭიაური ერთ აზრზე ვართ ხოლმე“

ლიტიკური არჩევანის საკითხად აქციეს. ძალიან გადაამლაშეს და ამაზე პასუხი მოეთხოვათ.

— **საბოლოო გადაწყვეტილებას ივანიშვილი მიიღებსო, განაცხადებთ. ამ გადაამლაშების გამო მათ ივანიშვილი კოალიციიდან ხომ არ გაუშვებს?**

— გაშვება ასე არ მოხდება. საკუთარი სურვილით კოალიციის არ დატოვებენ. ახლა ზარალის შემცირებაზე ზრუნავენ და ცუდი თამაშის პირობებში სახის შენარჩუნებას ცდილობენ.

— **კმაყოფილებას ასხივებენ მრენველები. ისინი აცხადებენ, რომ მოუთმენლად ელოდებიან პოლიტსაბჭოს. თქვენი აზრით, რა შეიძლება იქ მოხდეს?**

— ისინიც რესპუბლიკელების დღემ არიან და ამიტომაც ასხივებენ კმაყოფილებას. იმედი აქვთ, რომ პოლიტსაბჭოზე მათ სასარგებლოდ მოხდება რამე, კოალიციის დატოვება და

ხალხის პირისპირ მარტო დარჩენა არც მრენველთა ინტერესში არ არის.

საკუთარ უსუსურობას მრენველები და რესპუბლიკელები კარგად აცნობიერებენ და ეს განცდა მათ თანაცხოვრების კენ უბიძგებს. საქართველოში ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვერ იტანს, მაგრამ ერთად ცხოვრობენ, რადგან ოჯახის სინამდის უფრთხილდებიან.

— **მრენველები და რესპუბლიკელები ერთმანეთს არ უკავშირდებიან თანაცხოვრებას?**

— კოალიციის სინამდის დიდად არ ალელებთ, ამ შემთხვევაში, უფრო მეტკვიდრეობის მიღებას ელოდებიან.

— **მეშვიდრეობის მიღება კარგია, მაგრამ არ გაუჭირდებათ ერთმანეთის ატანა? უკვე ძალიან მწვავედ**

„ხანდახან ხდება სასწაულები — მე და მეჭიაური ერთ აზრზე ვართ ხოლმე“

— **ტიმპერატურა იმდენად მაღალია, რომ არ გამოვიდეს, ბოლოს მაინც დაიშალონ, მაგრამ ხელისუფლება ისეთი ტყველია, ურჩევნიათ, თავმოყვარეობა შეელებოთ, ვიდრე სკამები დაკარგონ.**

— **კოალიციის დაშლის შესაძლებლობაზე ისევ აქტიურად საუბრობენ მმართველ გუნდში. რესპუბლიკელების და პრემიერის შეხვედრის შემდეგ, თამაშ მეჭიაურმა კიდევ ერთხელ გააუფლავა ეს იდეა. თქვენი აზრით, დადგება თუ არა ეს საკითხი პოლიტსაბჭოს სხდომაზე?**

— დადგება თუ არა ეს საკითხი პოლიტსაბჭოს სხდომაზე, ვერ ვიტყვი, მაგრამ ხანდახან ხდება სასწაულები — მე და მეჭიაური ერთ აზრზე ვართ ხოლმე. პოლიტიკურ ინცილინოლოს თავს თუ დავაანებებთ და სახელმწიფოებრივად ვიმსჯელებთ, კო-

ალიციის დაშლა ქვეყნისთვის იქნებოდა სასარგებლო.

ნესით და რიგით უკვე უნდა დაგვეყო მულტიპარტიული დემოკრატიის ევროპული მოდელის შექმნა, სადაც პარტიები დამოუკიდებლად მიდიან არჩევნებზე, ხალხისგან იღებენ მანდატს და პარლამენტში შესვლის შემდეგ დაქმნიან კოალიციებს. იქ ერთი მსოფლმხედველობის მქონე ძალები ერთმანეთს იმდენად, რაც პოზიტიური პროცესია.

— **საქართველო არის ამ მოდელისთვის მზად?**

— მგონი, დადგას ის დრო, როდესაც ეს მოდელი უნდა მოვსინჯოთ. მხოლოდ ერთიანი მსოფლმხედველობის მქონე ძალების გაერთიანებით არის შესაძლებელი ქვეყნის აღმშენებლობის დაწყება.

ძალიან მიჭირს იმის წარმოდგენა, თუ როგორ უნდა მართოს ქვეყანა კიდევ 4 წელი „ქართულ ოცნებას“, სადაც ერთმანეთს მოძულე პარტიები არიან გაერთიანებული. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხზე შეთანხმებას ვერ შეძლებენ, რითიც ქვეყანას დაზარალებენ. ამიტომ ჯობია, კოალიცია დაიშალოს, მიუხედავად იმისა, რომ ამას გარკვეული რისკი ახლავს.

— **კოალიციის დაშლის საკითხის გადაწყვეტა როგორ წარმოგიდგენიათ? ყველამ ერთად უნდა მიიღოს ეს გადაწყვეტილება თუ საბოლოო სიტყვა ივანიშვილმა უნდა თქვას?**

— ვერ ვიტყვი, რომ საბოლოო სიტყვას ივანიშვილი იტყვის, მაგრამ მის სიტყვას ამ ვითარებაში ძალიან დიდი წონა ექნება.

— **ამბობთ, რომ კოალიციის დაშლა რისკს შეიცავს, ნაფა ივანიშვილი რისკზე?**

— დღეის გადმოსახედიდან ისე ჩანს, რომ ივანიშვილი კოალიციას არ დაშლის. მე მაინც ვგონიან, რომ ასეთი ვარიანტი განიხილება, რადგან არსებული ვითარებაში დაშლა არის ერთადერთი სწორი გამოსავალი.

ირაკლი ოქრუაშვილია გორზე კონტროლი დააბყარა

შორენა მარსაგიშვილი

გორის ცაზე ირაკლი ოქრუაშვილი გამოისახა. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა მშობლიურ ქალაქზე კონტროლი დააბყარა. არ შეგვიწყნდეთ, ის იმ ზილით არ შემოვიარდნილა, რომლითაც ნაციონალების მტკიცებით, 2011 წელს თბილისში უნდა შემოჭრილიყო.

საქმე ის გახლავთ, რომ 2016 წლის 4 თებერვალს საკრებულოს 8 ოპოზიციონერი თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და 4 კომისიის ხელმძღვანელს იმპიჩმენტი მოუწყვეს.

საიმპიჩმენტო რევიანში ქართული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატების წარმომად-

გენლები გაერთიანდნენ. გადამწყვეტი ხმა იოსებ ფალავაშვილს ეკავა, რომელმაც ამ ამაზამდე ცოტა ხნით ადრე ფრაქცია „ქართული ოცნება“ დატოვა.

იმპიჩმენტიდან ერთ კვირაში რევიანის წევრები საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურაზე ვერ შეთანხმდნენ.

ქართულ პარტიას ილია მეტრეველი სურდა, ხოლო თავისუფალ დემოკრატებს — სოსო ფალავაშვილი. შეთანხმება ვერ შედგა და ისინიც დაიშალნენ.

საკრებულოს ახალი თავმჯდომარის არჩევა ცოტა ხნის წინაც სცადეს, მაგრამ მამინ საჭირო ხმები ვერ მოაგროვეს. 4 მარტს კი გამარჯვება

ირაკლი ოქრუაშვილის თანაპარტიელს, ილია მეტრეველს დარჩა.

ილია მეტრეველი 2006-2010 წლების მონვევის საკრებულოს წევრიც იყო. ის საკრებულოში, როგორც ნაციონალი, ისე შევიდა. 2007 წელს, ოქრუაშვილისა და ნაცმოძის დაშორების შემდეგ, ის თავდაცვის ექსპერტის გუნდში აღმოჩნდა.

შეოცნებებ თავმჯდომარის ჩამოღებორანტებაში ქართულ პარტიას თავისუფალი დემოკრატებიც დაეხმარნენ. ეს ერთი შეხედვით უცნაური იყო, რადგანაც ოქრუაშვილი და ალასანიას დასანახად ვერ იტანენ ერთმანეთს. შესაბამისად, არც მათი პარტიები იქნებოდნენ ერთმანეთზე გამიჯნურებულინი.

ქართული პარტიის მიერ გორზე კონტროლის დამყარება ყველაზე მეტად თავდემებს არ მოეწონათ.

თავისუფალი დემოკრატების წევრმა თამარ თეფლაშვილმა ილია მეტრეველის არჩევა გააპროტესტა. მისი მტკიცებით, 4 მარტს ადგილი ჰქონდა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და ქართულ პარტიას შორის გაიგებებას.

თეფლაშვილს სერიოზული ეჭვი აქვს, რომ ილია მეტრეველმა ხმები „ქართული ოცნებიდან“ მიიღო.

საკრებულომ ახალი თავმჯდომარის გარდა, სხვა თანამდებობის პირებიც აირჩია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ ზურაბ როსტომიშვილი (ბურჯანაძე — დემოკრატიული საქართველოსთვის) გახდა. ეს თანამდებობა



ნინო ზურაბიშვილმა საკუთარი სურვილით დატოვა.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დავით რაზმაძე (რესპუბლიკელები) დაურბნდა.

ქონების მართვის კომისია პაპუნა კობერიძემ (ეროვნული ფორუმი) ჩაიბარა. მანამდე ზურაბ როსტომიშვილს ეკავა.

ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების კომისია ზაზა მეზერიშვილს (ლეიბორისტები) მიანდეს. მანამდე, ის ქონების მართვის კომისიის ხელმძღვანელობდა.

განათლების კომისიის მწერალი ვანო ჩხიკვაძე დაურბნდა.



ახალი თაობა

განვით გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოცინაშვილი

მთავარი რედაქტორი — სოსო გოცინაშვილი

რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი

რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი, საფინანსო სამსახური — ვლარა ბალაშაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55

გაფრცხვლების სამსახური — მერაბ ლევინაშვილი

დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკავალდონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, შინა ქაქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №50, მე-3 სართული.

ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგულირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე განვით დამფუძნებელი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



გულიკო ბალაძე

პეტრე მამრაძე: „ხიდაუელი თანამდებობას პარტიის პიარისთვის იყენებს“

პარლამენტის ყოფილ წევრ პეტრე მამრაძის განცხადებით, „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირება საარჩევნო კვოტების გადანაწილების გამო დაიწყო.

პეტრე მამრაძე: — დაპირისპირება, ერთმანეთისადმი სიძულვილი თუ შიზილი კოალიციაში შექმნის დროსაც არსებობდა. კარგად მასსოვს სატელეფონო საუბრები, სადაც კოალიციის ლიდერები ერთმანეთს უწმანური სიტყვებით მოიხსენიებდნენ. ზოგიერთი მათგანი პირადად ივანიშვილის მიმართ საშინელები, ბიძაშვილთა ცილისწამებასაც არ ერიდებოდა. ეს კოალიცია შეერყობდა. ის კოალიცია შეერყობდა იმ პრინციპით, რომ ეს მოდათ, თუ ბიძინა ივანიშვილს დაუდგებოდნენ გვერდით, მოხვდებოდნენ პარლამენტში, ექნებოდათ წვდომა რესურსებზე, მათ შორის, მატერიალურ რესურსებზე.

— სააკაშვილისა და ნაცემოდრაობის დამარცხება არ იყო კოალიციის შექმნის მთავარი პირობა?

— არა. ამიტომაც ვერ მოხერხდა სამართლიანობის აღდგენა. ეს იყო პარტიები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ მოხვდნენ ნაციონალურ ორბიტაზე, გარეთ დარჩნენ და ესწრაფოდნენ, შიგნით შესულიყვნენ ხელი-სუფლებას. შემდგომში ხელფასების გაზრდაზე, პრემიების გაცემაზე, საოცრად ძვირფასი მანქანებისა და ტელეფონების შეძენაზე დადასტურდა, რომ მოვიდნენ საკუთარი კეთილდღეობისთვის, მათ შორის პოლიტიკური კეთილდღეობისთვის. ის დაპირისპირება ახლა გამოაშკარავდა, როდესაც უწყვეტ სიებისთვის ბრძოლა დაიწყო, აინტერესებთ, ვინ მოხვდება ისევ პარლამენტსა და მთავრობაში.

ხიდაშელმა თანამდებობის გა-



მოყენება საკუთარი და პარტიის პიარისთვის დაიწყო. მან გამოიწვია გარკვეული დაძაბულობა. შემდეგ იყო კოალიციისთვის ყოველდღიური დაპირისპირება თოფაქისადმი, რასაც მოჰყვა კვირიკაშვილის განცხადება. — თოფაძე არ ტყუის, თუნდაც იმიტომ, რომ ამდენ ხანს გააგრძელა დაპირისპირება? — რა თქმა უნდა, პიროვნულზე გადასვლა, მით უმეტეს კოალიციურ რეჟიმში, სასურველი არ არის. მეორე მხრივ, როდესაც ამ ასაკის ადამიანს ეტყვის ქალბატონი თინა, მეგონა, საერთოდ არ იყო პარლამენტში, თურმე ყოფილაო. ეს შეურაცხყოფის მიყენებაა. — პრემიერი დახურულ კარს მიღმა დაელაპარაკა თავისი მთავრობის წევრს და შედეგი რომ ვერ მიიღო, ღია განცხადება გააკეთა? — კვირიკაშვილის განცხადება დაგვიანდა. ჩვენს პატრონულ სისტემაში ყოველთვის საჭიროა დრო კომუნიკაციისთვის. სანამ დაუკავშირდნენ ივანიშვილს, სანამ აზრი მიანოდეს, დრო გავიდა. — თუ ბოლომდე უნდოდანთა მოუაშკარავებინათ და მიუშვებდნენ? — არა. შესანიშნავად იცინა, რომ კოალიციაში დაპირისპირება, კინკლაობა ხალხში ზიზღს იწვევს. სწორედ ასეთი დაპირისპირების გამო კიდევ უფრო ეცემა ისედაც კატასტროფულად დატყევილი რეიტინგი. ქუჩაში ხალხი მეუბნება, ნაცებსა და ქოცებს ერთმანეთზე დაეწივით და ისე გავიტანოთ. — კვირიკაშვილი წინასწარ არ დაელაპარაკა თავისი მთავრობის წევრ ხიდაშელს? — ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. — ხიდაშელმა არ გაუწია ანგა-



რითი პრემიერის გაფრთხილებას? პრემიერმა ხომ მოუნდა პოლიტიკორექტულობისკენ? — რა თქმა უნდა, ეტყობა, არ გაუწია ანგარიში, პირად საუბრებში რას ამბობენ, მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ საჯარო განცხადება იყო. ახლა პრემიერი შეუთანხმდა ივანიშვილს და მტკიცედ განაცხადა: „როგორც ქვეყნის პრემიერი — მინისტრი და კოალიციის ლიდერი, აუცილებლად განვახორციელებ ცვლილებებს, რომელიც უზრუნველყოფს მთავრობის ნორმალურ ფუნქციონირებასა და პოლიტიკური პროცესის ჯანსაღ ჩარჩოებში მოქცევას.“ — ცვლილებები რას ნიშნავს? — ცვლილებები ნიშნავს, მოვსხნი მინისტრს და მორჩა. — ივანიშვილმა დაინახა, რომ ეს დაპირისპირება ხელს უშლიდა მთავრობის მუშაობას? — ივანიშვილმა დაინახა, რომ ეს

დაპირისპირება ისედაც დაცემულ რეიტინგს კიდევ უფრო დაბლა სწევს, თორემ ივანიშვილი კი არ ზის და ამ საკითხებზე კი არ მუშაობს. მას უკავშირდება და უსწინაღობითარებას. დათანხმდება თუ არა, იმის მიხედვით მოქმედებენ. ივანიშვილს თავისი საქმე ძალიან ბევრი აქვს. 24 საათი ტელევიზორთან კი არ ზის. პრემიერს არ შეუძლია მოხსნას პარლამენტის წევრი.

— აშკარად იყო საშუალება ამ მწვევე დაპირისპირებაში ჯარის ჩართვისა?

— მწვევე დაპირისპირებაში ჯარის ჩართვა გამორიცხულია, მაგრამ თავდაცვის მინისტრი იყენებს თავის თანამდებობას პირადი და ჯგუფური პიარისთვის, აცხადებს, რომ მოითხოვს, საქართველო პირდაპირ ნატოში მიიღოს. თუ ხარ თავდაცვის მინისტრი და მინისტრთა კაბინეტის წევრი, ხომ ჯობს თქვა, ჩვენი მთავრობა მოითხოვს ამასო.

„ნანუაშვილი მერაბიშვილის და ახალაიას სინიდან გამოყვანას აპირებს“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ომბუდსმენი და ასო-ები სპეცსამსახურების ჩადებული ნაღმებია“

შორენა მარსაგვილი

ჩაკომ ახის სახალხო დამცველის ინიციატივა სახიფათო, ჩა დგემა მან ნაციონალურ ეხთაძ, ვინ დაგს ქვეყანაში ხედიგიხი დაპიხისპიხებების უჯან? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაეხითანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრა.

ნიკოლოზ მჟავანაძე:

— საქართველოს პარლამენტში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოების შესახებ სახალხო დამცველის მიერ მომზადებული კანონპროექტი შევიდა, რომელიც სასამართლოს უფლებამოსილებისა და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის არეალის გაფართოებას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ ინიციატივის მიხედვით, გამოწვევის სახით, კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში დაშვებულია 1995 წლის 24 აგვისტოს შემდეგ საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრება, რომელთა გასაჩივრების ვადა გასულია. აღნიშნული გამოწვევის არის ერთგვარი გამოწვევა საზოგადოებაში არსებულ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნაზე. აღნიშნული მექანიზმის შემოღებით განჩდება შესაძლებლობა, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის თვალსაზრისით გამოვლინდეს და გამოსწორდეს მართლმსაჯულების ის ხარვეზები, რომლითაც საქართველოს კონსტიტუციის ფუნდამენტური მოთხოვნები დაირღვა.



ერთი შეხედვით ძალიან კარგი ინიციატივაა, მაგრამ მეგონა, რომ აქ სულ სხვა რაღაცასთან გვაქვს საქმე. სახალხო დამცველის ინიციატივა სულ სხვა მიზანს ემსახურება. უჩა ნანუაშვილმა ძალიან კარგად იცის, რამდენი ადამიანი მოინდომებს საქმეების გადახედვას. რისთვისაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები არ ეყოფა. — ამიტომ გგონიათ, რომ ცვლილებებს სხვა მიზნით ითხოვს? — ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ დღეს საკონსტიტუციო სასამართლო არის ნაციონალურ კონტროლის ქვეშ. საქმეებს, რომელთა განხილვასაც 1 წელი საჭიროდება, ისინი ძალიან მოკლე ვადებში განიხილვენ. ამის ნათელი მაგალითი რუსთავი 2-ის საქმეა. იგივე შეგვიძლია ვთქვათ გიგი უგულავას საქმეზეც. სერიოზული ეჭვი იბადება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ცვლილებები ვანო მერაბიშვილის, გიგი უგულავას, ბაჩო ახალაიას და სხვა მსგავსი ნაციონალურ ციხიდან გამოყვანას ისახავს მიზანდ. ეს ადამიანები, როცა

ყველა ინსტანციის სასამართლოს მოივლიან, განაჩენს საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებულ, რომელიც მათ აუცილებლად გაამართლებს. თვალსაზრისით შეტყვევც, რომელიც სასამართლო სისტემის წინააღმდეგ მიდის. ისეთ სურათს ხატავენ, თითქოს სასამართლო დღეს არის კორუმპირებული. ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ მომავალში გასამართლებული ნაციონალების გამართლება გაიოლდეს. იტყვიან, კორუმპირებული მოსამართლეები სამართლიან გადაწყვეტილებას ვერ გამოიტანენ. — თქვენ გამოირიცხავთ, რომ სისტემაში კორუმპირებული მოსამართლეები იყვნენ? — ერთ-ორი ასეთი მოსამართლე შესაძლოა მართლაც იყოს, მაგრამ ამის გამო მთელი სისტემა არ უნდა გაღანძლო. ასევე მიუღებელია იმაზე ყვირილი, რომ სასამართლოზე ზენილა ხორციელდება. ამაზე ის ხალხი ყვირილი, რომლებიც მაშინ დუმიდნენ, როცა სასამართლო მართლა ზენილის ქვეშ იმყოფებოდა. სახალხო დამცველი და პატივცემული ასო-ები თავიანთი ქმედებებით, ქვეყანას სერიოზულ პრობლემებს უქმნიან. მე მათ კომუნისტების მიერ შექმნილ ავტონომიებს შევადავებ, რომლებიც ნაღმების სახით ჩავვიდეს და მოხდა კიდევაც მათი აფეთქება. ომბუდსმენი და ასო-ები თავიანთი უფუფური ქმედებებით სერიოზულ პრობლემებს შეგვიქმნიან. — რატომ შეგვეჩვენება პრობლემები, რაკი სასამართლოზე ამბობენ, რომ სისტემა კორუმპირებულია? — ეს ცოტა არ არის. ასო-ები ნანუაშვილთან ერთად ისეთ სურათს ხატავენ, თითქოს საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევა და რელიგიური ნიშნით დაპირისპირებას აქვს ადგილი. მიმდინარე წლის 29 თებერვალს სოფელ ადიგენში პატარა გაუგებრობას პქონდა ადგილი. ამ ინფორმაციის

გავრცელებიდან 5 წუთიც არ იყო გასული, ომბუდსმენი რომ გამოვარდა და ერთი იმბაი ატყა. მას აშშ-ს ელჩის განცხადება მოჰყვა, რომელიც რატომღაც შეშფოთებას გამოხატავდა. არც ასო-ებმა დააყოფნეს და ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს განცხადებების გაკეთება. საშინელი სურათი დაიხატა. ამერიკაში თვეში ერთხელ მაინც შევარდებიან ვილაციები სკოლაში და ბავშვებს ხვრეტენ. რამდენიმე თვის წინ პირდაპირ ეთერში დაცხრილეს უურნალისტი. მთელ რიგ შტატებში არის დასახლებები, სადაც პოლიცია ვერ შედის. ვინმეს მოუტრიალდება ენა და იტყვის, ამერიკაში დემოკრატია არ არისო? ან ვინმე იტყვის, რომ აშშ განგსტერული ქვეყანაა. კარგი იქნება თუ იან კელი, განცხადებების გაკეთების დროს, ამერიკაში მომხდარ ფაქტებსაც გაიხსენებს. ბოლო პერიოდში ხშირად ქვეყნდება საქართველოსთან დაკავშირებით უარყოფითი დასკვნები. რაც ასოების და სახალხო დამცველის პირდაპირი დამსახურებაა. მათ ანგარიშებში მხოლოდ იმაზეა საუბარი, თუ როგორ ირღვევა საქართველოში ადამიანის უფლებები და თურმე აქ გაქანებული ისლამოფობიაა. ადიგენში მომხდარ ინციდენტზე მაშინაც არ გააჩერეს ენა, როცა მუსლიმთა სამართლებლო განცხადება გაავრცელა. სადაც ნათქვამია, რომ დაპირისპირება ხელოვნურად იყო ინსპირირებული. საქართველოში სანამ ეს გრანტიჭამიები გამოჩნდებოდნენ, კაციშვილმა არ იცოდა ტერმინი „რელიგიური შუღლი“, იმიტომ, რომ ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობდა. ეჭვიც არ მეპარება, რომ რელიგიური შუღლის გაღვივების უკან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები დგანან. — რომლებიც ქვეყნის სპეცსამსახურებზე უფრო იკვნიან? — ეს გამოიძევებ უნდა დაადგინოს. საქართველოში რელიგიური შუღლის ინსპირირება შესაძლოა ძალიან



ცუდად დასრულდეს. ამ მხრივ ყველაზე სახიფათო სახალხო დამცველის მიერ მომზადებული ანგარიშებია, რადგანაც ის სახელმწიფო ინსტიტუტია. თურქეთი დიდი ხანი საქართველოში ცდილობს ფეხის მოკიდებას. ახლა ის რუსეთთან ომის ზღვარზე და აქ დამკვიდრება მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელოვანია. აქ შემო-სასვლელად ანკარას ასო-ები და ომბუდსმენი ხელ-ფეხს უხსნიან. თუ ასო-ები და ნანუაშვილი იტყვიან, რომ საქართველო ვერ უზრუნველყოფს რელიგიური უმცირესობების დაცვას, მაშინ თურქეთი იტყვის, რომ მას სურს მუსლიმების დაცვა. არაა გამორიცხული, ისინი აჭარაში შემოვიდნენ. ამ ასო-ების აღვირახსნილი ქმედებების გამო, შესაძლოა, საქართველოში შაბაგონი დაგვინდოს. ახლანან ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე წლის წინ საიამ საქართველოს სტარსბურში უჩივლა. ისინი იმ რუსების ინტერესებს იცავენ, რომლებიც საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ. თუ ევროსასამართლოში გავცამტყუნებენ, ამას შაბაგის სასამართლოც გაითვალისწინებს.

„Türkiye Scholarships“-ი ქართულ აბიჯურიანებას ელის



თურქეთი სასწავლო პროგრამის „Türkiye Scholarships“-ის მეშვეობით თავისი უნივერსიტეტების კარს უღებს სტუდენტებს როგორც მთელი მსოფლიოდან ასევე საქართველოდანაც.

„Türkiye Scholarships“ არის განათლების მიღების შესაძლებლობა წარმატებული უცხოელი სტუდენტებისათვის როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის პროგრამებში თურქეთის 55 ქალაქის 105 უნივერსიტეტში.

აბიტურიენტები მშობლიურ ქვეყანაში გაივლიან გასაუბრებას, რა დროსაც განისაზღვრება მათ მიერ სასურველი უნივერსიტეტი და ფაკულტეტი, ხოლო პროგრამა „Türkiye Scholarships“-ი უზრუნველყოფს სტუდენტს სტიპენდიითა და საერთო საცხოვრებელი.

„Türkiye Scholarships“-ის პროგრამა ითვალისწინებს:

- ყოველთვიურ სტიპენდიას (600 თურქული ლირა – ბაკალავრიატის, 850 თურქული ლირა – მაგისტრატურისა და 1200 თურქული ლირა დოქტორანტურის სტუდენტებისათვის);
- სრულ სწავლების საფასურს;
- ერთწლიან უფასო თურქული ენის შემსწავლელ კურსს;
- უფასო საცხოვრებელს;
- თვითმფრინავის ორგზის ბილეთს;
- ჯანმრთელობის დაზღვევას.

„Türkiye Scholarships“-ის პროგრამა თავისი ხასიათით ერთ-ერთი ყველაზე საყოველთაო პროგრამაა მთელ მსოფლიოში. პროგრამის მეშვეობით შესაძლებელია არა მარტო მაღალი ხარისხის განათლების მიღება, ახალი პერსპექტივებისა და შესაძლებლობების დაუფლება, არამედ იგი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ათასობით სტუდენტს ეხმარება ერთმანეთის უკეთ გაცნობაში.

მხოლოდ 2015 წლის განმავლობაში ამ პროგრამის სტიპენდია მიიღო 15.000-მა სტუდენტმა 182 ქვეყნიდან, მათ შორის 60-მა – საქართველოდან. მთლიანობაში 402-მა ქართველმა სტუდენტმა ორგანიზებულ „Türkiye Scholarships“-ის პროგრამით და 142 სტუდენტი ამჟამადც განაგრძობს სწავლას თურქეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში.

წელს „Türkiye Scholarships“-ის პროგრამისთვის განაცხადების მიღება დაიწყო ა.წ. 29 თებერვალს და გასტანს 31 მარტამდე.

პროგრამის შესახებ უფრო დანერგებითი ინფორმაცია მსურველებს შეუძლიათ იხილონ და აგრეთვე უფასოდ დარეგისტრირდნენ ვებგვერდზე: www.turkiyeburslari.gov.tr.

უხალაუო ინდოელი კრიკეტის პარსკვლავი გახდა



ინდოეთის ქაშირის ოლქის მცხოვრები ამირ ჰუსეინ ლონი, რომელსაც ხელები ხის დამამუშავებელ მანქანაში მოჰყვა და ამის გამო ორივე ზედა კიდური დაკარგა, კრიკეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ადგილობრივი გუნდის ვარსკვლავი გახდა. 1997 წელს მომხდარი ინციდენტის შემდეგ ინდოელმა საავადმყოფოში სამ წელზე მეტი დრო დაჰყო. 26 წლის ლონი კრიკეტის სათამაშო ჯოხს კისრისა და მხრის დაზარალებით იჭერს, ხოლო ფეხებს დარტყმის კუთხისა და ძალის რეგულირებისთვის იყენებს.

– კრიკეტი ჩემი გატაცებაა. თავიდან ეს ყოველივე ჩემთვის ძალიან მძიმე ასატანი იყო. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დამოუკიდებლად ჭამასაც ვი ვერ ვახერხებდი, – განაცხადა ინდოელმა სპორტსმენმა.

მისმა ოჯახმა ყველაფერი გაყიდა, რაც ვი გააჩნდა, რათა მისი მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხარჯები აენაზღაურებინა. ახლა უკვე იმედი აქვს, რომ ფულს სპორტის დახმარებით იშოვის და ქვეყნის ნაკრებშიც ითამაშებს.

კ. ხ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი

აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად

I. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი თანამშრომელი

1. მინისტრის ნაგებობაში მშენებლობის, საბადოთა დამუშავებისა და კომპლექსური მექანიზაციის განყოფილების უფროსი, მინისტრის ნაგებობაში მშენებლობის ლაბორატორიის გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
2. აფეთქების ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი, აფეთქებადი მასალების კვლევის და აფეთქების ტექნოლოგიების ლაბორატორიის გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
3. კომპლექსური მექანიზაციის ლაბორატორიის გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
4. მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორიის გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
5. აფეთქებისგან დაცვის ტექნოლოგიების ლაბორატორიის გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
6. ანალიზური ქიმიის და ნიაღისეულის გამდიდრების განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
7. ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი.

კონკურსის პირობები

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. განყოფილების მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 6 წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ანდა ატვირთონ PDF ფორმატში:

1. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ www.mining.org.ge);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
10. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა;
11. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელფოსტა, მისამართი).
– საკონკურსო საბუთების მიღება ინარმოებს სსიპ გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტში მისამართზე – ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №7, ოთახი 216 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე tmi@mining.org.ge 2016 წლის 10 მარტის 10 საათიდან 16 მარტის 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).
– კონკურსი გაიმართება 18 მარტს.

კონკურსის პირობები

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:

1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. განყოფილების მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ანდა ატვირთონ PDF ფორმატში:

1. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ ვებგვერდზე www.mining.org.ge);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
10. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელფოსტა, მისამართი).
– საკონკურსო საბუთების მიღება ინარმოებს სსიპ გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტში მისამართზე ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №7, ოთახი 216 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე tmi@mining.org.ge 2016 წლის 4 აპრილის 10 საათიდან 8 აპრილის 17 საათამდე.
– კონკურსი გაიმართება 12 აპრილს.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი
დავით ხომერიკი
ტელეფონი: 593 390 319
tmi@mining.org.ge (კონკურსები)


ახალი თარბა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
<http://www.opentext.ge/akhaliatoba>

ქართული ლარის მიმართ უხსოვარი ვალუტების გახვლიტი კურსი

4 მარტისთვის	აშშ დოლარი — 2.4703	ევრო — 2.6827
	ინგლისური სტერლინგი — 3.4466	100 რუსული რუბლი — 3.3361

გირვანკა — 3.4466



7 მარტიდან!

„ახალ თოგასთან“ ერთად მურმან ლეხანიაძე 100 ლექსი

ფასი გაზაფხულთან ერთად 4 ლარი

4 მარტიდან

გაზეთ „ახალ თოგასთან“ ერთად ბახიანი ბახია მახაჩისი ტყვეობის ამბავი

რომანი 1990-იან წლებში ნარკოდაჯგუფების მიერ კოლუმბიელი ჟურნალისტი ქალის, მარუბა პაჩონის გატაცების რეალურ ამბავზეა დაფუძნებული.

ფასი გაზაფხულთან ერთად 12 ლარი

100 ლექსი — მე-20 საუკუნის ქართული პოეზიის მოზაიკა

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს საგამომცემლო პროექტს „100 ლექსი“, რომლის ფარგლებშიც ბოლო წლების განმავლობაში 100 პოეტური კრებული გამოიცა. გვესაუბრება პროექტის ავტორი, გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი კახა მებეკუძე:

— ამ იდეის სათავეში გალაკტიონ ტაბიძე დგას. მან 1925 წელს ჟურნალ „მნათობში“ ერთდროულად 100 ლექსი გამოაქვეყნა და საზოგადოებას აჩვენა, რომ შესაძლებელია, პოეზია ლექსთა კონკრეტული რაოდენობითაც წარდგეს მკითხველის წინაშე. გადავწყვიტე, ეს ერთი შემთხვევა განმეზოგადებინა. პირველ კრებულს თავად იდეის ავტორის ნიგნი გამოიცა.

ეს პროექტი იმით არის მიმზიდველი, რომ კრებულში შესულია მე-20 საუკუნის ქართველი პოეტების საუკეთესო ნაწარმოებები, 100 ლექსი კი, დამეთანხმებით, მკითხველისთვის საკმარისია ამა თუ იმ ავტორზე წარმოდგენის შესაქმნელად.

ლექსების შერჩევას გამომცემლობა იმ კომპეტენტურ ლიტერატორებს და კრიტიკოსებს ანდობდა, ვისაც კონკრეტული პოეტის შემოქმედებაზე უმუშაოვიათ. რაც შეეხება ცოცხალ ავტორებს, ამ შემთხვევაში კრებულში შემდგენელი ლექსებს ავტორთან ერთად არჩევდა. თითოეულ კრებულს თან ახლავს შესავალი, პოეტის პორტრეტი და მისი შემოქმედების გზამკვლევი.

„100 ლექსი“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროექტია გამომცემლობისთვის.

ცხადია, ეს არ არის აკადემიური გამოცემა, მაგრამ სერიის ფარგლებში გამოცემული ნიგნები ერთგვარი მოზაიკაა მე-20 საუკუნის ქართული პოეზიისა, თვისი მრავალფეროვანი და უაღრესად საინტერესო ნაკადებით“.

ახალი ზელანდიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯვრისწერის ცერემონიის მფრინავი მაკარონის მოსტრის ეკლესიაში ჩატარების უფლება მისცა და რელიგიურ ორგანიზაციას შესაბამისი ნებართვა გადასცა.

— ცერემონია ხმლების, ლაფსისა და სპაგეტის გამოყენებით ტარდება. ეს ერთგვარად თავშესაქცევიცაა, — განაცხადა ეკლესიის ადგილობრივი განყოფილების მეთაურმა კარენ მარტინმა. ქალს შეუძლია, საკუთარ თავზე ოფიციალურად იტვირთოს ღვთისმსახურის მოვალეობის შესრულება და საზეიმო ცერემონიების გამართვა.

ქვეყნის ხელისუფლებამ პასტაფარიალური ეკლესია შემდგომ რელიგიურ დანებს უფლებად აღიარა. ადგილობრივი კანონმდებლობით, ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც თანმიმდევრულად ქადაგებს გარკვეულ რელიგიურ მრწამსს ან ფილოსოფიურ შეხედულებებს, საჭიროდ ცერემონიის ჩატარების უფლება ეძლევა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ზაზა ფარულია: „ჩემს მომავალს ბიზნესში ვხედავ“

დალას მავერიკის ქართველ ცენტრ ზაზა ფარულიასთან ინტერვიუ იეს-პი-ენ-მა შემოგვთავაზა. საუბარი ძირითადად არასაკალათბურთო იყო.

— **თუ გიფიქრიათ, რომ 19 წლის ასაკში ამერიკაში სათამაშოდ კი არა, სასწავლებლად ჩამოსულიყავით?**

— საინტერესო კითხვაა. სწავლასაც და სპორტსაც აქვს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ასპექტები. ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც ევროლიგაზე ვითამაშე იმ კალათბურთელების გვერდით, რომელთაც სანგრაძის ვიწრო კარგად გამოვალა. მათ შორის — ამერიკელი. მქონდა ჩემი შემოსავალი და პატარა ბიჭი ადრე გავხდი მამაკაცი. თუმცა, არ მქონდა სწავლის დრო, არადა, ჩემს ოჯახში სწავლას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. მაგრამ როგორც კი დროს გამოვინახე, სწავლას ვინწყებდი. ჩემს სპორტულ კარიერას მაინც არ ვნანობ — უძლიერეს ლიგაში მე-13 წელია ვთამაშობ. თუმცა ჩემს შვილებს, პირველ რიგში, კარგ განათლებას მივალბინებ, მაგრამ არც კალათბურთზე ვეჭვები უარს.

— **რას აპირებთ საკალათბურთო კარიერის დასრულების შემდეგ?**

— სწავლის გაგრძელებას. პარეარდის ბიზნესკლასში 60 სტუდენტი ვიყავით. მათ უკვე თავიანთი ბიზნესი აქვთ და ცდილობენ ახალ ეტაპზე ასვლას. მეც გავაგრძელებ იმ საფუძვლის შენებას, რომელზეც შემდეგ ჩემს ბიზნესს ავაწყობ.

— **სად გეხატებათ თქვენი თავი კარიერის დასრულების შემდეგ?**

— უნდა გავხედო ახალი მარკ კუბანი (დალასის მფლობელი). ბიზნესი ძალიან მაინტერესებს.



ნიკა გვარამია გაქურდეს

ნიკა გვარამია: — მიუნენის აეროპორტი ასე მარტივად ხომ არ გამოიშვებდა? ესეც პოლიცია ინერს ჩემს ჩვენებას, როგორ გავიღვიძე და არ დამხვდა ჩემი ნივთები. პრაქტიკულად ცარიელ აეროპორტში მოხდა ეგ. იმდენი, თბილისში რომ ჩამოვალ და ლუფტჰანზას ვუჩივლებ, ჩემი საჩივრი ურთმედიეს არ დაენერება.

ეკა ირემაშვილი

იუმორი

დედა სიცხიან შვილს თავს დასტრიალებს და ეუბნება:

- ქათმის სუხს გაგიკეთებ, საყვარელო.
- ეზოდან ქათამა გამოსდასა.
- ფერვექსი მიეცი, შე შობელძალლო, ფერვექსი.

რესტორანში ოფიცინტი კლიენტს ეკითხება:

- რას მიირთმევთ?
- აი, ის მინდა, აგერ, იმ მაგიდასთან მჯდომი მამაკაცი რომ ჭამს.
- ეგ შეუძლებელია, ბატონო.
- რატომ?
- არ დათმობს...

ქურდობაში ეჭვმიტანილს გამოძიებელი ეკითხება:

- რატომ მოიპარეთ ტელეფონის ქალაქი?
- არ მომიპარავს, ფულის გადახდას მოგვიანებით ვაპირებდი.
- რატომ, შეგეშინდათ, რომ ფული არ გეყოფოდათ?
- არა, შეგეშინდა, რომ ფულის გადახდას ვერ მოვასწრებდი.

დედამთილი ოჯახში ახლად შემოსულ რძალს ეკითხება:

- წვნიანს გაკეთება იცი, ძვირფასო რძალო?
- ვიცი!
- აბა მაშინ მითხარი, რა არის საჭირო იმისთვის, რომ გემრიელი გამოვიდეს?
- დედამთილა ენა რომ არ ატლიკნოს!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯიხსკოხი

შეუღალ: 1. კვერცხის გულით, ნებოთი და ზეთის სხნარით შეზავებული სახატავი სალდბაცი; 2. პერიოდულად შრობადი მდინარების სახელწოდება ავსტრალიაში; 3. ესპანეთის ფეხბურთელია გუნდი; 4. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 5. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 6. ქართული ფარმაცეპტული კომპანია; 7. ქართველი რაბისტი; 8. შამფურზე მწვადად ასაგები ხორცის ნაჭრები; 9. აფრიკული ლეშის მჭამელი ცხოველი; 10. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 11. პოლანდიის ფეხბურთელია გუნდი.

თარაზულად: 6. პაუზა მუსიკალურ მელიოდაში; 7. ბრონტელის წვენიგან მომზადებული საწებელი; 8. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 9. იაპონელი მოდელიორი; 10. ქართული ხალხური ზღაპარი; 11. ჩქარი მატარებელი; 12. ამერიკული ავიაკოსმოსური ხომალდი; 13. მრგვალი, უნახნავოდ დამუშავებული ძვირფასი ქვა; 14. წყლის ტრამვაი ვენეციაში.

შეადგინა თ.კობალაშვილმა

1	2	3	4	5
6			7	
8				
		9		10
11				
				12
13	14		15	
				16
			18	
			19	
20				